ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 29 სექტემბრის სხდომის

ოქმი №9

სხდომას ესწრებოდა: 31 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. 2015-2016 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სემესტრული გადასახადის განსაზღვრა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

2. თსუ-ის რექტორის №126/2015 ბრძანების შესაბამისად დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის დამტკიცება
   მომხს: ვ. მელიქიძე

3. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში

   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა დასვა საკითხი 2015-2016 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სემესტრული გადასახადის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, მ. გიბიშვილმა, გ. კაკაურიძემ და სხვ.

დაადგინეს: 2015-2016 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სემესტრული გადასახადის განისზღვროს სემესტრში 250 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ წარუდგინა დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის პროექტი, რომელიც ეფუძნება თსუ-ის რექტორის 2015 წლის 29 ივლისის №126/01-01 ბრძანებას.

აზრი გამოთქვეს: ნ. პავლიაშვილმა, მ. წერეთელმა, მ. გიბიშვილმა, გ. კაკაურიძემ, შ. საბაურმა, და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესი და შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ. მატარაძე, გ. გოგსაძე, მ. გოგილაშვილი.

მოისმინეს: 3. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, მ. გიბიშვილმა, გ. კაკაურიძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. "მასკომუნიკაციისა და მედიის კვლევების" სამაგისტრო პროგრამის 3 კრედიტიანი საგანი "საზოგადოებრივი აზრის კვლევა" გახდეს 4 კრედიტიანი

2. "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტიდან შემცირდეს 40 კრედიტამდე, ხოლო კვლევითი კომპონენტი გახდეს 140 კრედიტი. ამის გამო, კურსები "კლასიკური ტექსტები საერთაშორისო ურთიერთობებში" და "თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში" ნაცვლად 15–15 კრედიტისა, გახდეს 5–5 კრედიტიანი, პროგრამიდან ამოღებულ იქნეს კურსები: "პრაქტიკუმი 1" და "პრაქტიკუმი 2" და დაემატოს მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული 15 კრედიტიანი სავალდებულო "დოქტორანტის სემინარი".

ცვლილებები განსახილველად წარედგინოს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს თსუ-ის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენას.

ასევე, "დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის" სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსს "სოციალური კვლევის მეთოდები" წაიკითხავს თეონა მატარაძე, ასისტენტ პროფესორი.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები წარიმართა 2015 წლის 11 სექტემბერს ფაკულტეტის საბჭოზე მიღებული დადგენილების შესაბამისად (ოქმი №8)

სხდომაზე არჩეული იქნა ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო დურგლიშვილი – ასოცირებული პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე
2. ნანა ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, მდივანი
3. ტარიელ ირემაძე – სტუდენტი

საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა დადგენილი პროცედურის დაცვით.

ხმის დამთვლელმა კომისიამ წარმოადგინა შემაჯამებელი ოქმი (თან ერთვის), რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი:

ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 36
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა - 31
კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა - 21
საარჩევნო ყუთიდან ამოღებული ბიულეტენების რაოდენობა - 21
გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა – 15

ბათილი, ანუ გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა - 1
მომხრე - 19
მოწინააღმდეგე - 1

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად სიითი უმრავლესობით არჩეულ იქნა პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია,
ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი,
ასოცირებული პროფესორი

29 სექტემბერი, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. სერგი კაპანაძე
9. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია

სტუდენტური თვითმმართველობა

25. შალვა საბაური
26. გიორგი კაკაურიძე
27. თორნიკე ცინაძე
28. მაგდა გიბიშვილი
29. მაჭავარიანი დავით
30. გვანცა გავაშელი
31. ტარიელ ირემაძე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტი) დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ფაკულტეტის დოქტურატურაში სწავლის ყოველსემესტრულ (ერთი სემესტრის განმავლობაში) დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე დოქტორანტის სამეცნიერო და აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

2. ყოველ სემესტრში თსუ რექტორის 2015 წლის 29 ივლისის №126/01–01 ბრძანებისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე წესის საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩევა არაუმეტეს 5 დოქტორანტისა.

3. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისია.

4. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ის აკადემიური პერსონალი, რომელიც არის დაფინასების მისაღებად კონკურსში მონაწილე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

5. დაფინანსების მისაღებად ყოველი სემესტრის დასწყისში ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ცხადდება კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ფაკულტეტის დოქტორანტებს, რომელსაც აქვს თსუ რექტორის №126/01–01 ბრძანებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციის სახეობათა ჩამონათვალიდან („სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია“) რომელიმე ტიპის პუბლიკაცია და რომლის GPA არ არის 3.00-ზე ნაკლები.

6. კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

- დამატებითი სემესტრის დოქტორანტები;
- დასაფინანსებელ სემესტრში სტატუსშეჩერებული დოქტორანტები;
- დოქტორანტები, რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური;
- დოქტორანტები, რომლებსაც სწავლის საფასური უფინანსდებათ საგრანტო პროექტის ფარგლებში;
- დოქტორანტები, რომელთა სწავლის საფასურს აფინანსებს რომელიმე ორგანიზაცია ან ფონდი.

7. კომისია ვალდებულია კანდიდატთა შეფასებისას დაეყრდნოს რექტორის №126/01–01 ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრულ კლასიფიკაციას, სადაც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის სახეობა რიგითი ნომრის მიხედვით მოცემულია რანჟირებულად, რეიტინგის კლებით. იმ შემთხვევაში, თუკი სამეცნიერო–კვლევითი პროდუქციის სახეობების მიხედვით გამოვლინდება 5–ზე მეტი თანაბარი რეიტინგის მქონე დოქტორანტი, კომისია იხელმძღვანელებს მათი GPA-ით.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- სამეცნიერო პუბლიკაციების სია (იხ. დანართი);
- სამეცნიერო პუბლიკაციის არსებობის დამადასტურებელი საბუთი
. ავტობიოგრაფია (CV)

9. კომისია განიხილავს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აფასებს დოქტორანტებს დანართი 1-ის შესაბამისად.

10. საუნივერსიტეტო დაფინსებისთვის ფაკულტეტიდან შერჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება თსუ-ს რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების
ხმის დამთვლელი კომისიის

2015 წლის 29 სექტემბრის

ო ქ მ ი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატები:

1. რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი

ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 36
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა - 31
კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა - 21
საარჩევნო ყუთიდან ამოღებული ბიულეტენების რაოდენობა - 21
გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა - 15
ბათილი, ანუ გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა - 1
მომხრე - 19
მოწინააღმდეგე - 1

გამარჯვებული კანდიდატი - რევაზ ჯორბენაძე

ხმის დამთვლელი კომისია:

1. თავმჯდომარე: ნინო დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი
2. მდივანი: ნანა ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი
3. ტარიელ ირემაძე - სტუდენტი

ნინო დურგლიშვილი: ნ. დურგლიშვილი
ნანა ტალახაძე: ნ. ტ.
ტარიელ ირემაძე:ს ტ. ი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები

29 სექტემბერი 2015 წელი

ამომრჩეველთა სია

#	გვარი, სახელი	ხელმოწერა
1	ასანიშვილი ფიქრია	
2	ბელქანია ნოდარ	
3	ბერძენიშვილი ამირან	
4	ბოკერია მარინა	
5	გავაშელი გვანცა	
6	გერსამია მარიამ	
7	გიბიშვილი მაგდა	
8	გოგსაძე გიორგი	
9	დავითაშვილი ზურაბ	
10	დოლბაია თამარ	
11	დურგლიშვილი ნინო	
12	თურმანიძე თორნიკე	
13	ირემაძე ტარიელ	
14	კაკაურიძე გიორგი	
15	კაპანაძე სერგი	
16	კაჭკაჭიშვილი იაგო	
17	კუხიანიძე ალექსანდრე	
18	მაცაბერიძე მალხაზ	
19	მაჭავარიანი დავით	
20	მაჭარაშვილი ნანა	
21	მახარაძე თამარ	
22	მელიქიძე ვალერიან	

23	ოსეფაშვილი დალი	
24	პავლიაშვილი ნინო	
25	ჟორჟოლიანი გია	
26	საბაური შალვა	
27	ტალახაძე ნანა	
28	შამილიშვილი მანანა	
29	ცინაძე თორნიკე	
30	წერეთელი მარი	
31	ჯორბენაძე რევაზ	

ნ. ფუტკარაშვილი

ნ. ფუტკარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დოკუმენტი № 36436 /02 28.09.2015

პასუხი წერილზე №36435/02 რ.ჯორბენაძის ფაკულტეტზე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე
არჩევნებში მონაწილეობის შესახებ

რეზოლუცია:

ნ.ჭალაგანიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა თქვენი მიმართვა (N36435/02 28.09.2015) და ინფორმაცია ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატურის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განიხილა პროფესორ რევაზ ჯორბენაძის კანდიდატურა და თანახმაა ბატონმა რევაზ ჯორბენაძემ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში სოციალურ და პილიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე.

პატივისცემით,

ნატალია ბარათელი

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

28.09.2015

1487 3
28 09 015

36436/02
28 09 15
853

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დოკუმენტი № 36435 /02 28.09.2015

ინფორმაცია რ.ჯორბენაძის ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში
დარეგისტრირების შესახებ

რეზოლუცია:

ნ. ჭალაგანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

№ 4182/30-00 "28" 09 2015 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს
ნატალია ბარათელს

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანის
თამარ დოლბაიას

მიმართვა

ქალბატონო ნატალია,

თქვენი სამსახურის დებულების შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში დარეგისტრირებული კანდიდატის შესახებ. ესაა, პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.

პატივისცემით,

თამარ დოლბაია

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

28 09 36435/01
15

ჭავჭავაძის გამზ. 8. 0179 თბილისი. საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +995 32 290594 Tel.
ფაქსი: +995 32 290594 Fax